

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „ბერიკა“ (ს/ნ 405101759) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 18 მაისს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., I შეს., №6, ბ. №80

საწარმოს მფლობელები: მამუკა გვალია - 75 %
ლაშა რევაზიშვილი - 25%

შპს „ენ.ერ.ჯი საქართველო“ (ს/ნ 426539098) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 10 სექტემბერს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, გარდაბნის რაიონი, ს. ლემშენიერა მე-4 ქ. N33.

საწარმოს მფლობელები: ნოდარი ჯაჯვანი - 50 %
შპს „ბერიკა“ - 50 %

შპს „ბერიკა“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინისა და კონიაკის წარმოება და რეალიზაცია.

საქმიანობის არეალს წარმოადგენს: საქართველოს სხვადასხვა რეგიონები და საზღვარგარეთის ქვეყნები.

2021 წლის 26 ნოემბერს შპს „ბერიკა“ გახდა შპს „ენ.ერ.ჯი საქართველო“-ს 33,33% წილის-ის მფლობელი, ხოლო 2022 წელს მოხდა დამატებითი წილის შეძენა. შპს „ენ.ერ.ჯი საქართველო“-ს საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კულტურის მოყვანა და რეალიზაცია.

საქმიანობის არეალს წარმოადგენს: საქართველოს სხვადასხვა რეგიონები და საზღვარგარეთის ქვეყნები.

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად

ჯგუფისთვის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული მეორე ფინანსური ანგარიშგება, 2022 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მსს ფასს სტანდარტებში, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „სუპერფინ“-ში. ჯგუფი მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება უკან დაბრუნებები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც:

საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე. საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ მიღება- ჩაბარების ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

3.4 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიან მიღებული შემოსავლები - შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.5 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. შენობებისთვის 50 წელი,
2. ავტომატებისთვის 10 წელი,
3. საოფისე აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკისთვის 5 წელი,
4. დანადგარებისთვის 5 წელი,
5. ავეჯისთვის 5 წელი.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხდება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთში შეაგენს 15%-ს.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგი აისახება - მასალები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტი შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგებით თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა.

საწარმო ჯგუფიდან აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღებისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად დროითი და სანარდო ანაზღაურების სისტემით.

3.11 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ჯგუფის საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

დასახელება	2022 წელი
შემოსავალი	13,184,033
საქონლის რეალიზაცია	12,977,131
მომსახურების გაწევიდან	206,902

5. რეალიზაციის თვითღირებულება

დასახელება	2022 წელი
შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება	7,216,299

6. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

დასახელება	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	911,552
მიწის დამუშავების ხარჯი	265,148
ნერგების მოვლის ხარჯი	53,979
ხორბლის მოვლის დანახარჯები	61,277
პირდაპირი ხელფასი	29,635
რემონტის ხარჯები	185,238
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	704,271
საკონსულტაციო ხარჯი	152,281
იჯარა	231,256
ცვეთა და ამორტიზაცია	233,976
კომუნალური ხარჯი	104,976
საწვავის ხარჯი	85,163
მიწოდების ხარჯები	56,622
სავაჭრო ნიშნის ხარჯი	26,680
საპენსიო ხარჯი	24,253
დაზღვევა	23,852
მცირეფასიანი ძირითადი საშუალების ხარჯი	6,477
სხვა სამეურნეო ხარჯი	14,009
საკანცელარიო ხარჯები	7,824
რეკლამის ხარჯები	36,587
სამივლინებო ხარჯი	17,256
კომუნიკაციის ხარჯი	4,516
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,141

სხვადასხვა ხარჯი	101,676
სულ:	3,342,645

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

7. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლით.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“

8. ფულადი სახსრების აღრიცხვა

ჯგუფში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოქმედებს მცირე სალაროს სისტემა.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	01.01.2022
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	121,506
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	15,015,729
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(11,725,224)
გადახდილი პროცენტები (-)	(281,862)
გადახდილი მოგების გადასახადი (-)	(354,543)
სხვა შემოსავალი (+)	117,790
სხვა გასავალი (-)	(620,186)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (+)	2,151,704
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	0
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის (-)	(249,285)
შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით (-)	0
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი (+)	0
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები (+)	0

მიღებული პროცენტები	(+)	700
მიღებული დივიდენდი	(+)	0
სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(+)	70,518
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(-)	(178,067)
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		0
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	(+)	0
შემოსულობანი კაპიტალის განაღდებად	(+)	578,925
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	(+)	2,215,500
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება	(-)	(20,000)
გადახდილი დივიდენდი	(-)	(1,861,100)
სესხის დაფარვა ან გაცემა	(-)	(2,871,782)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(-)	(1,958,457)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(74,164)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31.12.2022		62,522
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		(58,984)

9. ანგარიში კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ

საჩვენებლები	კოდი სტრიქონი	ნაშთი წლის დასაწყისში	შემოსულია წლის განმავლობაში	დახარჯულია წლის განმავლობაში	ნაშთი წლის ბოლოს
საწესდებო კაპიტალი	10	282,184	578,925	0	861,109
გაუნაწილებელი მოგება	40	10,154,169	2,484,665	2,329,535	10,309,299
დაუფარავი ზარალი	50	--	--	--	--
სულ საკუთარი კაპიტალი (სტრ. 010+020+030+040-050)	60	10,436,353	3,063,590	2,329,535	11,170,408

10. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

11. ძირითადი საშუალებები

#	საბალანსო ღირებულება	მიწა, შენიშნა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავტო.ტრანს პორტი	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	არამატერიალური აქტივი	სხვა ძირითადი საშუალება	სულ
	31.12.2021	131050	649177	42281	148090	474755	89730	493483	2028566
	შეძენა (გადაფასება)	0	380031	12180	27000	260000	5048	51565	735824
	გასხვისება	2000	75675	0	39635	0	0	0	117310
	ჩამოწერა	0	0	238	0	0	1282	1704	3224
	ცვეთა	0	109979	11498	17985	0	0	91032	230494
	31.12.2022	129050	843554	42725	117470	734755	93496	452312	2413362

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები:

1. გადასაყიდად გამზადებული საქონელი - 0 ლარი
2. მზა პროდუქცია - 232,145 ლარი
3. მასალები - 4,942,286 ლარი
4. საწვავი - 3,390 ლარი
5. სხვა მარაგები - 435,309 ლარი

სულ მარაგები 5,613,130 ლარი

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	62522	121506	30646
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3941367	5534566	6586470
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1917071	1410259	740000
მარაგები	5174431	4789203	2617393
მზა პროდუქცია	232145	436770	102612
სხვა	4942286	4352433	2514781
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	438699	206627	64518
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	93496	89730	64739
ძირითადი საშუალებები	1564449	1442929	797299
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	734755	474755	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	20663	21152	11928
სულ აქტივები	13947453	14090727	10912993
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	538454	1157866	1595122
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1500	125	7754
საგადასახადო ვალდებულებები	90993	88115	185784
გამომუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2146098	2408268	1928928
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	2777045	3654374	3717588
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	861109	282184	13195
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10309299	10154169	7182210

გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	11170408	10436353	7195405
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	11170408	10436353	7195405
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13947453	14090727	10912993
სულ მოკლევადიანი აქტივები	11627586	12151891	10103766
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	630947	1246106	1788660

13. საწარმოს საქმიანობის შედეგები:

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	13184033	13082927
საქონლის გაყიდვიდან	12977131	12927630
მომსახურების გაწევიდან	206902	155297
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-7216299	-6062548
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	5967734	7020379
სხვა საოპერაციო შემოსავალი	78715	140070
დასაქმებულთა ანაზღაურება	-910277	-1026489
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-232236	-203444
საპროცენტო შემოსავალი	224238	144685
საპროცენტო ხარჯი	-353501	-244059
იჯარის ხარჯი	-231256	-234052
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1927604	-1610395
სულ საოპერაციო ხარჯები	-3351921	-3033684

საოპერაციო მოგება	2615813	3986695
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-325880	-108196
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	194732	-324657
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2484665	3553842
მოგების გადასახადის ხარჯი	-349430	-88392
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2135235	3465450
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2135235	3465450
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	1067618	1155034
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	1067617	2310416
მოგება / (ზარალი)	2135235	3465450
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	1067618	1155034
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	1067617	2310416
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2135235	3465450
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10436353	7195405
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	578925	268989
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1980105	-500884
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	71556
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	11170408	10436353

14. მიმდინარე ვალდებულებები

1. სავაჭრო ვალდებულებები - 538,454 ლარი
2. ნასესხები საშუალებები - 2,146,098 ლარი
3. საგადასახადო ვალდებულება - 90,993 ლარი
4. თანამშრომელთა მიმართ ვალდებულება - 1,500 ლარი

სულ მიმდინარე ვალდებულებები : 2,777,045 ლარი

15. მიმდინარე მოთხოვნები
(ლარი)

2022 წელი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,941,367
გაცემული ავანსი და სესხი	1,893,089
სულ მიმდინარე მოთხოვნები	5,834,456

16. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:
(ლარი)

შპს „ბერიკა“ ს დირექტორი



/მამუკა გვალია/